

დამტკიცებულია
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2019 წლის ____ თებერვლის
N____ ბრძანებით

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის
„ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების
„ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ ფარგლებში
კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ**

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა“, ღონისძიების „ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა“ (შემდგომში - ღონისძიება) განხორციელებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

2. ღონისძიება ითვალისწინებს ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მხარდაჭერას, ხელშეწყობას, დაფინანსური დახმარების სახით.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან (შემდგომში - მერია) მოთხოვნილი თანხა განისაზღვრება - არაუმეტეს 3 000 ლარისა. ამასთან, განაცხადები მიიღება ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა, შეზღუდული არაა).

4. ღონისძიების ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერი) ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - კომისია) სარეკომენდაციო გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მერის ბრძანებით.

5. ღონისძიების განმახორციელებელია - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილება.

მუხლი 2. მიზანი

წარმატებული ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების წახალისება, სტიმულირება და ხელშეწყობა (ფინანსური დახმარება) საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილების შეძენისა და ოსტატობის ამაღლების მიზნით.

მუხლი 3. ავტორიზაცია

1. ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სპორტსმენს/მწვრთნელს (შემდგომში - კონკურსანტი), რომელიც რეგისტრირებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, კონკურსანტმა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

2.1. შევსებული განაცხადი (თანდართული სააპლიკაციო ფორმით);

2.2. საერთაშორისო პასპორტისა ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

2.3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.4. რეკომენდაცია საქართველოს ეროვნული ფედერაციიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფედერაციიდან;

2.5. ოფიციალური მიწვევის ან/და მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.6. ინფორმაცია საერთაშორისო ტურნირის შესახებ;

2.7. ბიოგრაფია CV;

3. დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზე. უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული.

4. კონკურსანტის მიერ წარდგენილი განაცხადის რეგისტრაცია ხორციელდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25), ხოლო ელექტრონული ვერსია იგზავნება ელფოსტაზე: sportidaaxalgazrdoba2018@gmail.com.

5. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

6. თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია, საქმის წარმოება განხორციელდება კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსური დახმარება შეიძლება გაეწიოს განმცხადებლის პირად მწვრთნელს, რომელიც ასევე მონაწილეობას ღებულობს აღნიშნულ ტურნირში. მწვრთნელმა დაფინანსების მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე, უნდა წარმოადგინოს ამ მუხლით დადგენილი დოკუმენტაცია.

მუხლი 4. ფინანსური დახმარება

1. კონკურსის შედეგად შერჩეული ბენეფიციარი მიიღებს ფინანსურ დახმარებას (ერთჯერადი გასაცემლის სახით), არაუმეტეს 3 000 (სამი ათასი) ლარისა.

2. ფინანსური დახმარება ითვალისწინებს შემდეგ ხარჯებს:

2.1. მგზავრობა;

2.2. ვიზა;

2.3. დაზღვევა;

2.4. სასტუმრო;

2.5. ტურნირში მონაწილეობის საფასური;

2.6. სპორტული ეკვიპირების საფასური.

3. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 5. ეტაპები

1. პირველი ეტაპი - დოკუმენტაციის შესწავლა.

2. კონკურსანტის მიერ წარდგენილი განაცხადი (თანდართულ დოკუმენტებთან ერთად), ეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურს (შემდგომში - სამსახური), რომელიც შემდგომი რეაგირების (მოკვლევის პროცედურა, საბუთების შესწავლა, შესაბამისობის დადგენა) მიზნით, გადაეცემა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრ-

დობის სამსახურის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის პროგრამების მართვის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).

3. განყოფილება (კომისიის მდივანი):

3.1. ახორციელებს შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციას (წინასწარ შემუშავებული ცხრილის მიხედვით);

3.2. შეისწავლის კონკურსანტის განაცხადს და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი);

3.3. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ (ხარვეზის აღმოფხვრა, დაფინანსების კორექტირება, პროექტის დაზუსტება თუ სხვა ნებისმიერი დეტალი) განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 კალენდარულ დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად;

3.4. თუ დოკუმენტაცია შეესაბამება წინამდებარე დებულებით დადგენილ მოთხოვნებს, მასალებს წარუდგენს კომისიის წევრებს;

3.5. ამზადებს მოხსენებით ბარათს (კომისიის თავმჯდომარის სახელზე) წარმოდგენილი დოკუმენტაციის წინამდებარე წესთან შესაბამისობის თაობაზე;

3.6. კომისიის წევრთა მიერ, შევსებული შეფასების ცხრილების მიხედვით, ახდენს დაჯამებას, საბოლოო შედეგების გამოსავლენად;

3.7. აფორმებს კომისიის გადაწყვეტილებას ოქმის სახით, კომისიის სხდომის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

4. მეორე ეტაპი ითვალისწინებს განაცხადების განხილვას კომისიური წესით და კონკურსანტებთან გასაუბრებას.

მუხლი 6. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები

1. განაცხადების მიღება იწარმოებს ყოველი თვის პირველი სამუშაო დღიდან - ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით (09:00 საათიდან - 18:00 საათამდე). ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტით დამტკიცებული და ღონისძიებით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში - ამოწურვამდე (ბენეფიციართა რაოდენობა შეზღუდული არაა).

2. კომისია შემოსულ განაცხადებს განიხილავს განაცხადების მიღების თვიდან, შემდგომი თვის დასაწყისში - 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. კომისიის უფლებამოსილებები

1. კომისიის უფლებამოსილებები:

1.1. კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით;

1.2. კომისიის წევრთა რაოდენობა და სითითი შემადგენლობა განისაზღვრება მერის ბრძანებით;

1.3. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.4. კომისია ანგარიშვალდებულია მერის წინაშე;

1.5. კომისიის გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მერი.

1.6. კომისია ამტკიცებს იმ კონკურსანტთა სიას, რომლებიც არ შეესაბამება ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს ან თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია და იღებს გადაწყვეტილებას მათი კონკურსიდან მოხსნის თაობაზე;

1.7. კომისია განიხილავს განაცხადებს, ატარებს გასაუბრებას, აკეთებს შეფასებებს, შეარჩევს ბენეფიციარებს და მერს წარუდგენს რეკომენდაციას;

1.8. კომისია უფლებამოსილია, თუკი სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

2. კომისიის თავმჯდომარე:

2.1. წარმართავს კომისიის საერთო ხელმძღვანელობას, ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს კომისიის წევთა შორის. ასევე, უზრუნველყოფს სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას;

2.2. კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, მერს წარუდგენს მოხსენებით ბარათს განხილვის შედეგების შესახებ.

3. კომისიის წევრი - შეისწავლის განაცხადს, ახდენს შეფასებას და წარადგენს/გამოთქვამს თავის მოსაზრებებს.

4. კომისიის მიერ განაცხადების განხილვის შემდეგ, სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს, საბოლოო შედეგებთან მიმართებაში.

მუხლი 8. შეფასების კრიტერიუმები

კონკურსანტთა შეფასება ხდება 0 – 10 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ტურნირის რეიტინგულობა – 0 - 10 ქულა (რაც უფრო მაღალია ტურნირის რეიტინგი, მით უფრო მაღალია ქულა);

ბ) სპორტული მიღწევები (ქსეროასლი - ჯილდოები, სიგელები, სერტიფიკატები) - 0 – 10 ქულა;

გ) თანადაფინანსება (შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი) - 0- 10 ქულა.

მუხლი 9. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შეფასების საბოლოო შედეგი განისაზღვრება ქულათა დაჯამებით.

2. დაფინანსებაზე რეკომენდაცია გაეწევა იმ პირს (შემდგომში - ბენეფიციარი), რომელიც მიიღებს მაქსიმალურ ქულათა არანაკლებ 50 + 1 პროცენტს.

3. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის პოზიცია. ამასთან, ბენეფიციარის არჩევისას უპირატესობა მიენიჭება:

3.1. მაღალი რანგის, კლასის/კატეგორიის საერთაშორისო დონის ტურნირებში მონაწილეობას;

3.2. მსოფლიო, ევროპის, საქართველოს ჩემპიონებს, პრიზიორებს და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებს.

4. ერთი და იმავე ტურნირზე დასაფინანსებელი სპორტსმენის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 4 პირს, მწვრთნელის ჩათვლით.

მუხლი 10. კონკურსანტებზე დახმარების გაცემა

1. მერი, კომისიის რეკომენდაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და კონკურსში გამარჯვებულ პირზე (შემდგომში - ბენეფიციარი) დახმარების გაცემის თაობაზე.

2. ინფორმაცია კონკურსის შედეგების თაობაზე, წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა ნებისმიერი (ტელეფონი, facebook, ელექტრონული ფოსტა) საშუალებით, ეცნობება ბენეფიციარს მერის ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. მერის ბრძანების საფუძველზე, ბრძანების გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, კონკურსში გამარჯვებულ პირთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელსაც ამზადებს სამსახური და ხელს აწერს კურატორი მერის მოადგილე და კონკურსში გამარჯვებული პირი.

4. სამსახური, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უგზავნის მოხსენებით ბარათს კონკურსში გამარჯვებულ პირზე დახმარების გაცემის მოთხოვნით. მოხსენებით ბარათს თან ერთვის კონკურსში გამარჯვებული პირის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტი და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.

მუხლი 11. კონკურსანტის ვალდებულებანი

1. კონკურსანტის დაფინანსება გათვალისწინებულია მხოლოდ საანგარიშო წლის განმავლობაში.

2. კონკურსანტი ვალდებულია მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, ტურნირის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) თვისა წარმოადგინოს სპორტულ ტურნირში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მათ შორის: ვიდეო, სურათები, სოციალური ქსელებით გავრცელებული მასალა/ზმულები, სერთიფიკატის ასლები (არსებობის შემთხვევაში) და საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.